# ფრაზეოლოგიური ერთეულები კომპონენტით „თვალი“ გერმანულ, ინგლისურ, თურქულ და ქართულ ენებზე - შედარებითი ანალიზი

**ნანა სტამბოლიშვილი**
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ევროპეისტიკის დეპარტამენტის პროფესორი,
საქართველო, 6010. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35
+995593324653, nana.stambolishvili@bsu.edu.ge
https://orcid.org. 0000-0001-6924-8184
**ლილე თანდილავა**
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის პროფესორი,
საქართველო, 6010. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35
+ 995593348990. lile.tandilava@bsu.edu.ge
ORCID ID/0000-0002-0118-2075

**აბსტრაქტი**

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ფრაზეოლოგიური ერთეულები „თვალის“ კომპონენტით გერმანულ, ინგლისურ, თურქულ და ქართულ ენებზე. კვლევის საგანია ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკური თავისებურებები, რომლებიც ატარებენ პიროვნებისა და მისი საქმიანობის მახასიათებლებს. ამ მიზნის მისაღწევად წყდება შემდეგი ამოცანები: 1) ფრაზეოლოგიისა და ფრაზეოლოგიური ერთეულების ცნების შესწავლა, ფრაზეოლოგიური ერთეულების თავისებურებებისა და მახასიათებლების გამოვლენა; 2) „თვალის“ კომპონენტის მქონე ფრაზეოლოგიური ერთეულების შედარებითი ანალიზი გერმანულ, ინგლისურ,

თურქულ და ქართულ ენებზე და მათი მსგავსებისა და განსხვავებების იდენტიფიცირება.

**საკვანძო სიტყვები:** ფრაზეოლოგია; ფრაზეოლოგიური ერთეულები; ეროვნული ხასიათი; ეკვივალენტობა; კულტურა